საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 222

20 17 წ. "31" 07

ქ. თბილისი

შპს - ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიურ სკოლა ,,ცისკარისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიურ სკოლა ,,ცისკარს" (საიდენტიფიკაციო კოდი: 201952743) მიენიჭოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მეორე	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) IIსაფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
2.	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მესამე	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
3.	ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მეორე	ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	25

4.	ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მესამე	ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	20

2. შპს - ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიურ სკოლა ,,ცისკარს" მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 60-ით.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 31 ივლისის №17 სხდომის ოქმის მე-10 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
იოსებ სალუქვაძე

მდივანი
ანა კლდიაშვილი